



**საყდრის, ზიათურის მანგანუმის და
ქსანი-სტაფანშიდის
ელექტროგადაამცემი ხაზის
შემთხვევის ანალიზი**

*„საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია
ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-
შენარჩუნებაზე.
კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს
კანონით.“
საქართველოს კონსტიტუცია, 34-ე მუხლი, მე-2-ე
პუნქტი*

საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლის გარშემო განვითარებული მოვლენები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით

2013 წლის აპრილში კომპანია “RMG Gold”-ის განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ინიციატივით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბრძანებით შეიქმნა 11 კაციანი კომისია, რომელსაც დაევალა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხის შესწავლა. კომისიამ 35 დღიანი მუშაობის შემდეგ დაადგინა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანს კანონის დარღვევით ჰქონდა ძეგლის სტატუსი მინიჭებული. 2013 წლის 5 ივლისს, გამოიცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 03/108-ე ბრძანება, რომელიც გულისხმობდა არქეოლოგიური ძეგლისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის გაუქმებას.

2013 წლის აგვისტოში კომპანიის წარმომადგენელი აცხადებს: რომ საყდრისის ოქროს საბადოზე მითი ხელოვნურად შექმნეს; რომ შექმნილ ვითარებაში კომპანიის გარდა სახელმწიფო ინტერესებიც ზარალდება; რომ მათ წერილობით მიმართეს პრემიერ-მინისტრს ძეგლის გადატანასთან დაკავშირებით.[1]

„საყდრისი-ყაჩაღიანის თემაზე იმსჯელებიზნეს ცენტრში პრემიერ ივანიშვილთან გამართულ შეხვედრაზე, სადაც გადაწყდა, რომ „ოქროს მალაროს საკითხის შესწავლა, მასზე სტატუსის მინიჭება და ა.შ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უნდა დაევალოს...“. [13] აკადემიაში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელსაც უნდა დაედგინა იყო თუ არა საყდრისი-ყაჩაღიანის მალარო უძველესი ოქროს საბადო. აკადემიის ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ მათ „მძიმე მისია დაეკისრათ“ და მის განსახორციელებლად „მოკლე ვადა“ მისცეს. „ძეგლის გადატანა სრული აბსურდია, როგორ შეიძლება მთა აიღო

და სხვა ადგილას გადაიტანო?! ... ღმერთმა ქნას, რომ იქ მართლაც ოქროს საბადო აღმოჩნდეს.“- კონსტანტინე ფიცხელაური, არქეოლოგი. [6] დეკემბერში, პრემიერ მინისტრისაგან დავალების მიღებიდან ორი თვის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიამ განაცხადა, რომ ძეგლი 5000 წლისაა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს დანგრევას. [10]

2014 წლის იანვარში საზოგადოება გააქტიურდა საყდრისის პრობლემასთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ 2013 წელს კულტურის მინისტრმა ისე გაუუქმა ძეგლს სტატუსი, რომ საკითხი კომისიას არც კი შეუსწავლია. „ღ გოლდმა“ უნებართვოდ დაიწყო სამუშაოები და ძეგლი დააზიანა. ამის შემდეგ კულტურის სამინისტროს მითითებით სამუშაოები შეჩერდა. „ღ გოლდ“-ის თანამშრომლებმა სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს. კომპანია მანამდე ვერ გააგრძელებდა სამუშაოებს, სანამ სამინისტროს ნებართვა არ ექნებოდა. ამავედროულად პრესაში კვლავ შუქდება „მეცნიერების განსხვავებული მოსაზრებები“. მედიის ნაწილი კვლავ აგრძელებს კომპანიის მხარდაჭერას და ცალსახად აცხადებს, რომ „საყდრისის მითიდან აღარაფერი რჩება.“[9]

სამოქალაქო საზოგადოებამ გურამ ოდიშარიასგან მოითხოვა ძეგლისათვის სტატუსის აღდგენა, კვლევების დაწყება და მასში უცხოელი ექსპერტების ჩართვა. მათ შეხვედრაზე ავსტრალიელი, გერმანელი და ამერიკელი მეცნიერების მხრიდან მხარდამჭერი წერილები წარმოადგინეს. მათ ასევე მიმართეს საერთაშორისო ორგანიზაციებს და რეაგირება სთხოვეს „საყდრისი-ყაჩაღიანის ზოგად საკაცობრიო ღირებულებიდან“ გამომდინარე. [11] „RMG gold“-მა კულტურის სამინისტროს საწინააღმდეგოდ პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში საჩივარი შეიტანა, სადაც აპროტესტებდა კულტურის მინისტრის მხრიდან კომპანიისთვის საყდრისის არქეოლოგიურ ობიექტზე სამუშაოების ჩატარების უფლების ჩამორთმევას. მიმდინარე მოვლენებს შეეწირა კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაც.

ამავე პერიოდში ცნობილი ხდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის პოზიციაც. „საყდრისი არ არის უძველეს ოქროს მაღარო“ - განაცხადა მან.

მარტის თვეში კანცელარიასთან გაიმართა სოციალური ქსელით დაგეგმილი აქცია, ტრანსფარანტებით - „დაიცავი საყდრისი“, „საყდრისი-ყაჩაღიანი ხელისუფლების გამოცდაა“. აქციის წევრები აცხადებენ: „საზოგადოებაში უნდა ამალღდეს მგრძნობელობა იმის შესახებ, რომ საყდრისი მსოფლიოში უძველესი მალაროა.“ აქტივისტების გვერდით გამოჩნდა კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილეც.

აპრილში, მთავრობის სხდომაზე, ირაკლი ლარიბაშილმა განაცხადა: „არავის დაუმტკიცებია, რომ ამ ადგილას იყო უძველესი ოქროს მალარო, ეს არ მტკიცდება. რამდენიმე თვის წინ, ექსპერტებმა დადეს დასკვნა, წარუდგინეს მთავრობას, რის საფუძველზეც მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, სამუშაოების გაგრძელებასთან დაკავშირებით. მესმის იმ ადამიანების, რომლებიც თითქოს ძეგლის გადარჩენას ცდილობენ. მაგრამ მინდა მათ შევახსენო, ამ ორგანიზაციაში დასაქმებულია დაახლოებით სამი ათასი ადამიანი.“[3]

აპრილშივე დაიწყო კარვების აქცია საყდრისთან, სადაც შვეიცარიის და გერმანიის ელჩებიც ჩავიდნენ. კარვების აქციის გასაშუქებლად ადგილზე ჩ-ის გადამღები ჯგუფიც იმყოფებოდა. მათ შეხვდა კულტურის მინისტრი, გურამ ოდიშარიაც. „იკომოს საქართველომ“ კი განაცხადა, რომ საყდრისის არქეოლოგიური მემკვიდრეობა ფისკალურ და ბიზნეს ინტერესებს შეეწირა.[7] ამ ეტაპზე უკვე აქტივისტებს შორის გამოიკვეთა ის ნაწილი, რომელთაც პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდათ.

მაისში, კულტურის სამინისტროს მიერ ჩამოყვანილმა ექსპერტებმა დაადასტურეს ძეგლის ისტორიული მნიშვნელობა და ქართულ-გერმანული ექსპედიციის 9 წლის მუშაობის შედეგად მიღებული დებულებების და მტკიცებულებების ღირებულება. „ექსპერტების დასკვნამ საყდრისი-ყაჩაღიანის განადგურების შესაძლებლობა გამორიცხა“. - მარინე მიზანდარი.

ივნისში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან გაიმართა საპროტესტო აქცია სლოგანით „საყდრისის დანგრევა ეროვნული სირცხვილია.“

ივლის-აგვისტოში მიჩუმდა პრესა. სექტემბრიდან კი გაჩნდა ახალი ინდორმაცია, იმის შესახებ, რომ საყდრისის მცველებს შეუერთდა პოლიტიკური პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“. ეს იმას ნიშნავდა,

რომ საზოგადოებრივ საწყისებზე დაწყებული მოძრაობა პოლიტიკურ შეფერილობას იძენდა. ამან განხეთქილება შეიტანა აქტივისტებში. სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით პრესა ძირითად პროპაგანდისტული სტილის სტატიებს აქვეყნებს, სადაც საუბარია საყდრისის მცველებს შორის შუღლზე, თითქოსდა სკანდალური ინფორმაციები ქართულ-გერმანული სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ. ხოლო ძეგლს კვლავ მითად ან „ძალით გაძეგლებულად“ მოიხსენიებენ.

ნოემბერ-დეკემბერში თვეში გაიმართა ორი კვლევის პრეზენტაცია: 1. „ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ კვლევა, რომელიც ასკვნიდა, რომ „...საბადოს სრულფასოვნად ათვისება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.“[8]

და 2. „ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევა. ისინი ერთის მხრივ უკანონოდ მიიჩნევენ, კულტურის მინისტრის ბრძანებას უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ, რადგან საკანონმდებლო მოთხოვნა იყო დარღვეული, ხოლო მეორეს მხრივ აცხადებდნენ, რომ „სახელმწიფომ 2006-2007 წელს კანონდარღვევით, სპეციალური მოკვლევის გარეშე მიიღო უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება.“

2014 ნოემბერ-დეკემბერში ბეჭდურ მედიაში მოიმატა საყდრისის შესახებ სტატიების რაოდენობამ. მათი უმრავლესობა პროპაგანდისტული ხასიათისაა და კომპანიის პოზიციის დამცველად გვევლინება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამით საზოგადოებაში ფონს ამზადებდნენ საყდრისის ასაფეთქებლად.

2014 წლის 12 დეკემბერს გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03/266 ბრძანება და კულტურული მემკვირვების დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ბრძანება, რის მიხედვითაც კომპანიამ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე სამთომოპოვებითი სამუშაოები განაახლა. 2014 წლის 13 დეკემბერს დილის საათებშივე კომპანია RMG Gold-მა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს მალაროზე აფეთქებითი სამუშაოები განახორციელა.

საყდრისი-ყაჩალიანის უძველესი ოქროს მალარო

საყდრისი-ყაჩალიანის უძველესი ოქროს მალარო ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთთან, მდ. მაშავერას ხეობაში მდებარეობდა. (ყაჩალიანის ბორცვის ცენტრალური წერტილის კოორდინატები: განედი: 41°23'10.29"/გრძედი: 44°23'38.20"). შუა საუკუნეებში ტერიტორიას აბულგამის სახელით მოიხსენიებდნენ. ყაჩალიანის ბორცვი ნახსენებია ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-შიც. აღნიშნულმა ადგილმა სახელწოდება საყდრისი მეოცე საუკუნის 80-იან წლებში მიიღო მიმდებარედ მდებარე საყდრებიდან გამომდინარე.

საყდრისი ძეგლი პოლიმეტალების საბადოს არეალში ხვდება. თავდაპირველად იგი მიჩნეული იყო შუა საუკუნეების რკინის მალაროდ. 1987 წელს, ქართველი სამთო ინჟინერის, თეიმურაზ მუჯირის კვლევების შედეგად პირველად გამოითქვა მოსაზრება, რომ ძეგლი პრეისტორიულ ხანის გამონამუშევარს წარმოადგენდა.

2004 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის და გერმანიის სამთო მუზეუმის (DBM, ბოხუმი), თანამშრომლობით დაიწყო ძვ. წ. IV ათასწლეულით დათარიღებული საბადოს საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კვლევა. 2004-2013 წლებში განხორციელდა ორი სასწავლო-სამეცნიერო პროექტი. (პროექტის ხელმძღვანელი პროფ. დოქ. ანდრეას ჰაუპტმანი; თანახელმძღვანელები: პროფ. თომას შტოლნერი, დოქ. ირინე ლამბაშიძე). კვლევას ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა „ფოლკსვაგენისფონდი“. [18]

მალაროში აღმოჩენილმა არტეფაქტებმა აჩვენა, რომ არქეოლოგიური ობიექტი პრეისტორიული ოქროს მალარო იყო. გაკეთდა მალაროს დეტალური სტრატოგრაფიული მოდელი და დადგინდა ქრონოლოგია. პირველი ფაზა დათარიღდა მტკვარ-არაქსის კულტურით.

„კვლევის პროცესში გაირკვა, რომ იმ დროს, როდესაც უძველესი ცივილიზაციები, ისეთები, როგორცაა, მაგალითად, ეგვიპტე, ოქროს მადანს მდინარეში რეცხვის საშუალებით მოიპოვებდნენ, მცირე კავკასიონის ქედზე მაცხოვრებელი საზოგადოება კარგად იცნობდა მთის ოქროს მოპოვების რთულ ტექნოლოგიებს, როგორცაა მადნისეულ საბადოებში თვალთ უხილავი ოქროს ამოცნობა, მისი ქვის იარაღებით მონგრევა, ფუჭი

ქანებისაგან გათავისუფლება, დაფხვნა, გარეცხვა, გამოდნობა და გამომდნარი ოქროსაგან სამკაულის დამზადება.“- ვკითხულობთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ვებ-გვერდზე. [26]

„სამეცნიერო კვლევების საფუძველზე, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში საყდრისი-ყაჩალიანის არქეოლოგიური ობიექტი აღიარებული იქნა მსოფლიოში ოქროს სამთო წარმოების უძველეს კერად“. [18]

რა იქცევს ყურადღებას საყდრისის გარშემო განვითარებულ მოვლენებში

საყდრისის მაგალითს ქართულ საზოგადოებაში, პოლიტიკასა და ეკონომოკაში არსებული მრავალი სახის პრობლემა გამოაქვს დღის სინათლეზე. იგი არ ჯდება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ჩარჩოებში. საკითხს გააჩნია, სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი ასპექტები.

სამართლებრივი ასპექტი

საყდრისი-ყაჩალიანის უძველესი ოქროს მალაროს გარშემო განვითარებული მოვლენები უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს კანონდარღვევათა და სამართლებრივად გაუმართავი პროცედურების სიუხვით.

პირველი კითხვა იმის შესახებ არის თუ არა საყდრისი ძეგლი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, არა სამეცნიერო წრეებში, არა პროფესიული ან ინტელექტუალური დისკუსიების ფარგლებში, არამედ სტატუსის მინიჭების პროცედურის გაუმართაობის გამო. რაში მდგომარეობდა კანონდარღვევა? საქმე იმაში გახლავთ, რომ საყდრისს ძეგლის სტატუსი პირველად მიენიჭა 2006 წლის 30 მარტს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე. კანონდარღვევა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ აღნიშნული ბრძანება გამოიცა არა საყდრისისთვის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად, არამედ 1999 წელს სტატუსს ჩამორთმეული ძეგლებისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის აღდგენის მიზნით. შეგახსენებთ, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებული იქნა კანონი

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდა 1977 წლის კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, შესაბამისად ძალა დაკარგა ყველა იმ კანონქვემდებარე აქტმა, რომლის მიხედვითაც გარკვეულ ობიექტებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული. 2006 წლის 30 მარტის ბრძანებით კი მათ აღუდგათ უძრავი ძეგლის სტატუსი. აღნიშნული ბრძანების დანართში არსებული ძეგლების სიას მიუმატეს საყდრისიც. ამ მომენტისათვის საყდრისი-ყაჩარიანის ძეგლი უკვე წარმოადგენდა წიაღისეულის შესწავლა-მოპოვებისათვის გაცემული ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის ნაწილს. ცხადია, ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდა კულტურის მინისტრი და ეს გახდა საფუძველი ორმაგი სტანდარტით მიღებული გადაწყვეტილებისა. ერთის მხრივ ისე ჩანდა, რომ ძეგლს მიენიჭა სტატუსი მეორეს მხრივ, ეს ისეთი ფორმით მოხდა, რომ მომავალში გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დამდგარიყო. და ეს ასეც მოხდა. აღნიშნული ხარვეზი აღმოჩნდა 2013 წლის 5 ივლისში გამოცემული კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 03/108-ე ბრძანების საფუძველი, რომელიც გულისხმობდა არქეოლოგიური ძეგლისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის გაუქმებას.

უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის მიუხედავად საყდრისის ძეგლს ჯერ კიდევ იცავდა ორი ბრძენება: 1. 2006 წლის 17 ივლისს გამოცემული ეკონომიკური განვითარების მინისტრისა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ერთობლივი ბრძანება, რომლის თანახმადაც საყდრისის ტერიტორიას არქეოლოგიური ზონის სტატუსი ენიჭებოდა; და 2. 2006 წლის 7 ნოემბრის, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული 665-ე ბრძანება, რომლის თანახმადაც საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ენიჭებოდა. [16]

ის ფაქტი, რომ ძეგლი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსს, ნიშნავდა იმას, რომ მას იცავდა „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“. კერძოდ, მე-40-ე მუხლის, მე-3-ე პუნქტი: „არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს

შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას...”. [25] აქ მნიშვნელოვანია ის, რომ კომპანია „RMG Gold“-მა უგულებელყო აღნიშნული ბრძანებების არსებობა, უნებართვოდ დაიწყო სამუშაოები და ძეგლი დააზიანა. ქმედების გასამართლებლად კი იმოწმებდა მათ მიერვე დაფინანსებული არქეოლოგიური კვლევის შედეგებს, რომელიც თითქოს ამტკიცებდა, რომ საყდრისი არ წარმოადგენდა ძეგლს. „RMG Gold“-ის მრჩეველი პრესაში აცხადებდა, რომ „...ჩატარდა ტერიტორიის კვლევა და დაიდო შედეგი, რომლითაც გაირკვევა რომ ტერიტორიაზე რაიმე არქეოლოგიური არტეფაქტი არ გამოვლინდა. ... მას არა აქვს არც სტატუსი, არც ეროვნული კატეგორია და არც არქეოლოგიური დაცვის ზონა.“ [4] კომპანია ადანაშაულებდა კულტურის სამინისტროს ნებართვის გაცემის დაგვიანებაში. ანუ, კომპანია უკანონოდ საქმიანობს და ამავდროულად თავს ესხმის და ადანაშაულებს სახელმწიფო სამსახურებს, იმის გამო რომ ეს სამსახური კანონის დაცვისკენ მოუწოდებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და მოქალაქე დალი მამულაშვილმა საჩივარი შეიტანეს კომპანიის წინააღმდეგ და საყდრისში სამუშაოების შეჩერება მოითხოვეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა. თუმცა, ეს გახლდათ სასამართლოს დროებითი გადაწყვეტილება.

კიდევ ერთი ბრძანება, რომლის კანონიერება ეჭვქვეშ დადგა გახლავთ კულტურის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება. აღნიშნული საკითხი აქტუალური გახდა სამოქალაქო პროტესტის ფონზე. თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“. სარჩელი გულისხმობდა იმ ბრძანების გაუქმებას, რომლის თანახმადაც საყდრისს უძრავი ძეგლის სტატუსი მოეხსნა. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება საკმარისად დასაბუთებული არ იყო და სარჩელი დააკმაყოფილა.

საფინანსო დოკუმენტი, რომელმაც საყდრისის ძეგლის ბედი გადაწყვიტა, გახლავთ 2014 წლის 12 დეკემბერს გამოცემული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის №03/266 ბრძანება და კულტურული მემკვირეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის №2/271-ე ბრძანება, რის მიხედვითაც კომპანიამ საყდრისი-

ყაჩალიანის ტერიტორიაზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა. მეორე დღესვე, 13 დეკემბერს, დილის საათებში საყდრისის ძეგლი ააფეთქეს. კომპანიამ მყისიერად გამოიყენა აღნიშნული ბრძანებებით მინიჭებული უფლება და ამით ხელი შეუშალა გასაჩივრების შესაძლებლობას. „RMG Gold“-ის მხრიდან საქმის დაჩქარებულ რეჟიმში „მოგვარება“ იმ ფაქტით აიხსნა, რომ კომპანიას წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადა ეწურებოდა.

რთულია „საყდრისის სამართლებრივ ლაბორინთში“ ორიენტირება. საყდრისი-ყაჩალიანის შემთხვევა არის მაგალითი იმისა, თუ რა მარტივად არის შესაძლებელი საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურება თუკი „ეს ბიზნეს-ინტერესებში“ შედის და ამ მხრივ, კომპანიისთვის კანონმდებლობა დაბრკოლებას არ წარმოადგენს. საყდრისის შემთხვევა გვიჩვენებს, თუ რა ადვილად ხდება კანონდარღვევა, კანონმდებლობით მანიპულირება, კანონის უგულებელყოფა „როცა ეს ბიზნესს სჭირდება.“

ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ასპექტები

საყდრისის საქმეში კომპანიამ თავიდანვე რადიკალურად დასვა საკითხი და ისეთი დახატა სურათი თითქოს კომპანიის ყოფნა-არყოფნა დამოკიდებული იყო ერთ ძეგლზე. „RMG Gold“-ის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ თუკი საყდრისის მადნის მოპოვება აეკრძალებოდათ, კომპანია ფუნქციონირებას შეწყვეტდა. კომპანია „ლოლდ“-მარესურსების ათვისების აკრძალვის შემთხვევაში შესაძლოა ფუნქციონირება შეწყვიტოს - ისმოდა პრესაში. საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში კი ვკითხულობთ, რომ „Sps RMG Gold“, სს „RMG Copper“-ის სპილენძის საბადოს დამამუშავებელ კომბინატთან ერთად, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ყველაზე მსხვილ დამჭირავებულს წარმოადგენს.“ ასეთი მიდგომით კომპანია შეახსენებდა სახელმწიფოს თავის როლს ქვეყნის ეკონომიკაში.

კომპანიის რიტორიკას იმეორებენ პოლიტიკოსებიც. „ერთის მხრივ საქმე გვაქვს ძეგლთან მეორეს მხრივ, კი საწარმოსთან რომელიც არ უნდა გაჩერდეს ... როცა

სახელმწიფოს სჭირდება, რომ კონკრეტულ ადგილზე რაღაც სამუშაოები წარმართოს, ძეგლის გადატანა ყოველთვის ხდება.“ - აცხადებდა კულტურის მინისტრი ბიზნესცენტრში პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრის შემდეგ. მოგვიანებით იგივე განცხადება გვესმის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისგან: „ ... ინვესტორმა საქართველოს ეკონომიკაში უკვე 300 მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა და 3000 მოქალაქე დაასაქმა. ... კულტურულ მემკვიდრეობასა და ეკონომიკას შორის ჭიდილი მიდის, ამიტომ ამას ოქროს შუალედის დაცვა სჭირდება“. ამგვარი პოზიციით სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალი ცალსახად უჭერდა მხარს კომპანიის პოზიციას.

მსგავსი განცხადებების ფონზე ვხედავთ “RMG Gold“-ის თანამშრომლების საპროტესტო აქციებს ჯერ ბოლნისში, შემდეგ თბილისში, კულტურის სამინისტროსთან.

ჩნდება კითხვა, თუ რამდენად იყო რეალურად დამოკიდებული 3000 მოქალაქის დასაქმება ერთი ბორცვის ათვისებაზე? და რამდენად მართებულია ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის სასწორის სხავდასხვა პინაზე დაყენება?

საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უზნის ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ტექსტში ვკითხულობთ, რომ „დღეისათვის „RMG Copper“-ში პირდაპირ დასაქმებულია 1125 თანამშრომელი, ხოლო შპს “RMG Gold“-ში - 586 ადამიანი. ამას ემატება კონტრაქტორი ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირ ამ ორ საწარმოზე არიან დამოკიდებული. მთლიანად ჰოლდინგში 3000-მდე ადამიანია დასაქმებული. ... მადნის გროვული გამოფიტვის საწარმოო უზნის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ შპს “RMG Gold“-ში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა გაიზრდება მინიმუმ 80 ადამიანით.“ [19]

საყდრისის საბადოს დამუშავების დაწყების შემდეგ შპს “RMG Gold“-ში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა გაიზრდება 80 დასაქმებულით.“ მაშასადამე, 3000 დასაქმებულით აპელირება კომპანიის მხრიდან იყო ძეგლის საწინააღმდეგო პიარ-კამპანიის ნაწილი.

კულტურული მემკვიდრეობა შეუძლებელია

ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი გახდეს. პირიქით, მას გააჩნია პოტენციალი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, მით უფრო თუ საქმე ეხება მსოფლიოში უძველეს ოქროს მალაროს. ამგვარი პოტენციალის დანახვას და აღიარებას შეიძლებოდა სარგებელი მოეტანა სახელმწიფოსთვისაც და კომპანიისთვისაც.

არის კიდევ ერთი საკითხი. დაფუძვით, რომ 3000 დასაქმებულის ბედი მართლაც დამოკიდებული იყო ერთი ბორცვისათვისებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მადნის ამოწურვის შემთხვევაში მომავალშიც გარდაუვლად დადგება მომენტი, როდესაც მოქალაქეებს უმუშევრობა დაემუქრებათ. ისიც ცნობილია, რომ დაბა კაზრეთი აშენდა 1970-იან წლებში მადნის დამუშავების ფარგლებში და მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკურად დამოკიდებულია აღნიშნული ოქროს საბადოს მოპოვებასთან. რაც იმას ნიშნავს, რომ მათი კეთილდღეობა დამოკიდებულია ამოწურვად რესურსზე და ეს გარემოება კაზრეთის მოსახლეობას გრძელვადიან პერსპექტივში რისკის ქვეშ აყენებს. დადგება დრო, როდესაც აუცილებელი გახდება მოსახლეობისთვის არსებობის სხვა საშუალებების შეთავაზება. ასეთ საშუალებად კი არქეოლოგიური ძეგლების (საყდრისის უძველესი ოქროს მალროს და სხვ.) გარშემო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მოიაზრებოდა.

ეკონომიკასა და კულტურულ მემკვიდრეობის ერთმანეთის შეპირისპირება მანიშნებელია ან მიკერძოებულობის, ან ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი ხედვის არ ქონის. „ხელისუფლების პოზიცია საყდრისთან დაკავშირებით ყოველგვარ არგუმენტს მოკლებულია და დანაშაულებრივია. ... ჩვენს ხელისუფალს კულტურის უდიდესი როლი გათვინცნობიერებული არ აქვს.“ - აცხადებს კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე, მარინე მიზანდარი.

„საყდრისი არ არის უძველესი ოქროს მალარო“ აცხადებს პრემიერ-მინისტრი, დასტურად კი მეცნიერთა ჯგუფის მხრიდან სახელდახელოდ, ორ თვეში ჩატარებული კვლევა მოჰყავს. იმ ფონზე, როდესაც გაცხარებული დისკუსია მიმდინარეობდა ძეგლის სტატუსის თაობაზე, პრემიერ მინისტრი ურყევად აფიქსრებს ცალსახა პოზიციას, რომელიც კომპანიის პოზიციასთანაა თანხვედრაში.

საქართველოში, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის სპეციფიური

დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ამ სპეციფიკას განაპირობებს ერთის მხრივ, უახლესი ისტორიული წარსულის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის გავლენა, რომელიც კერძო საკუთრებას არ აღიარებდა (სახელმწიფო კაპიტალიზმი), მეორეს მხრივ, კი 2004 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შემოთავაზებული ეკონომიკის ლიბერალიზაციის კურსი. „საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესობა დაკავშირებული იყო ქვეყნის მთავრობის მიერ აღებულ ეკონომიკის სრული ლიბერალიზაციის და დერეგულაციის კურსთან და სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების ყველა შესაძლო საშუალებით გაზრდის სურვილთან.“[16] აღნიშნული ეკონომიკური კურსი თავის თავში მოიაზრებდა რესურსების მაქსიმალურ მოხმარებასაც, ამით იგი ფაქტიურად არ განსხვავდება საბჭოთა რესურსული პოლიტიკისგან, რომლის ძირითად მახასიათებელს ასევე რესურსების მაქსიმალური მოხმარება წარმოადგენდა. ფაქტი ერთია, არსებული რესურსული პოლიტიკა გარემოსთვის ზიანის მომტანია და „დაწვეის და გასწრების“ პოლიტიკის ჩანაცვლება ეკონომიკის ლიბერალიზაციით არსებითად არაფერს ცვლის.

სწორედ, ეკონომიკის განვითარების ზემოთაღნიშნულ კურსს შეეწირა საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო. საყდრისის შემთხვევა მაგალითია იმისა, რომ კერძო ინტერესების სასარგებლოდ სახელმწიფომ დაუშვა კანონდარღვევათა მთელი ციკლი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურება. სახელმწიფოს მხრიდან ლოიალობა კონკრეტული კომპანიების მიმართ პრივატიზაციის პროცესში და კომპანიის ინტერესების დაცვა ხელისუფლების მხრიდან, მაშინ როდესაც ეს კომპანია გარემოს, საზოგადოებისა და კულტურის საწინააღმდეგოდ ქმედებს, კიდევ ერთი ნიშნებია ზემოთ ნახსენები კურსისა.

ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ გარემოსა და კულტურის დაცვაზეც. და კიდევ არსებობს ერთი - თაობათშორისი პასუხისმგებლობა, რაც ავალდებულებს სახელმწიფოს ისე მოიხმაროს რესურსები, რომ მომავალ თაობებს მასზე წვდომა არ შეეზღუდოს. საყდრისის კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევაში სწორედ ეს პასუხისმგებლობა არ იქნა მხედველობაში მიღებული. სამუდამოდ გამოირიცხა მომავალი თაობის წვდომა

კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტულ ძეგლზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საყდრისის პრობლემა არ თავსდება მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის მოღვაწეობის ფარგლებში. საყდრისის პრობლემამ გაიარა ორი პრემიერ-მინისტრის, ორი პრეზიდენტის და სამი კულტურის მინისტრის ხელში. ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთლიანად რესურსულ პოლიტიკას. თუკი ქვეყანაში აღნიშნული საკითხი კრიტიკულად არ იქნება გააზრებული, თუკი შესაბამისი ღონისძიებები არ იქნება გატარებული რესურსების მოხმარების კუთხით, კიდევ იარსებებს საყდრისის მსგავსი შემთხვევების განმეორების რისკი.

დისკუსია საყდრისის გარშემო - სამეცნიერო საზოგადოება, აქტივისტები, ბიზნეს-ეთიკა

საყდრისი-ყაჩარჩანის ძეგლისათვის იურიდიული სტატუსის მოხსნით ცხადია ძეგლს სამეცნიერო და კულტურული ღირებულება არ დაუკარგავს, რაც თავის მხრივ ეჭვქვეშ აყენებდა სტატუსის მოხსნის გადაწყვეტილებას. დადგა მომენტი, როდესაც მეცნიერთა მოსაზრებებს ძეგლთან დაგავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. კომპანიის ინტერესებში შედიოდა ის, რომ მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფს ემტკიცებინა, თითქოს ძეგლი არ არის ღირებული. ეს იმ ფონზე, როდესაც არსებობდა ცხრა წლიანი კვლევის შედეგები, რომელიც ამტკიცებდა ძეგლის მაღალ ღირებულებას.

კომპანიამ დაიქირავა არქეოლოგების ჯგუფი, რომელთაც მოკლე დროში უნდა ჩაეტარებინათ კვლევა და დაედგინა საყდრისი იყო თუ არა ძეგლი, პარალელურად კი წამოიწყო მედია კამპანია, სადაც წინდაწინვე დაიბეჭდა კომპანიის პოზიციის დამცველი სტატიები, სადაც ვკითხულობთ, რომ „საყდრისის საბადოზე მითი ხელოვნურად შექმნეს“, „საყდრისი ძალით გაძეგლებული ობიექტია“. მოგვიანებით, „ღოლდ“-მა საყდრისი-ყაჩარჩანის ტერიტორიაზე უნებართვოდ დაიწყო სამუშაოები რასაც კომპანიის წარმომადგენელი ამართლებდა მათი მხრიდან ჩატარებული კვლევით, რომელიც ასკვნიდა, რომ ძეგლი არ არის ღირებული.

პარალელურად პრემიერ-მინისტრმა ძეგლის შესწავლა დაავალა მეცნიერებათა აკადემიას. მათაც ასევე მცირე

დრო მისცეს კვლევის განსახორციელებლად. აკადემიის პრეზიდენტის, გიორგი კვესიტაძის მხრიდან გაკეთებული განცხადების მიუხედავად, სადაც იგი ამბობდა, რომ აკადემია დაეყრდნო ეროვნული მუზეუმისა და გერმანელი კოლეგების მასალებს, რითიც მტკიცდებოდა უძველესი ოქროს მალაროს არსებობა, პრემიერი მაინც შემდეგი სახის განცხადებას ავრცელებს: „ვიცი, რომ საყდრისის თემამ არაერთი მითქმა-მოთქმა და დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ... შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც 2 თვის განმავლობაში აღნიშნულ საბადოს სწავლობდა ... ვფიქრობ, ეს დასკვნა მხედველობაში უნდა მივიღოთ. მათი დასკვნით, ეს საბადო არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ ადგილს.“[5] პრესაში კი იწერებოდა, რომ მეცნიერთა მოსაზრებები საყდრისთან დაკავშირებით ორად არის გაყოფილი. თუმცა რეალობაში საქმე ასე მარტივად არ იყო. ცხადია, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივი და ჯანსაღი მოვლენაა. მეცნიერებამ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ნებისმიერი თეორია. მაგრამ საყდრისის კონფლიქტში საქმე გვაქვს არა ჩვეულებრივ სამეცნიერო დიკუსიასთან, არამედ სამეცნიერო მოსაზრებებით მანიპულირებასთან კომპანიის მხრიდან. ამას ამტკიცებს ის, რომ კომპანია და პრემიერი იმოწმებენ მოკლევადიან კვლევებს (35 დღიან და 2 თვიან) და მათ უპირისპირებენ 9 წლიანი სისტემური, საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული კვლევის შედეგებს. მეცნიერთა ნებისმიერ ჯგუფს გაუჭირდებოდა 2 თვეში გაემეორებინა ექსპერიმენტი და ჩატარებინა ლაბორატორიული სამუშაოები იმ მასშტაბით, რომ არსებული, 9 წლიანი კვლევის შედეგად მიღებული თეორია უერყო ან დაედასტურებინა.

მეორე მნიშვნელოვანი შტრიხი „სამეცნიერო დისკუსიისა“ გახლავთ კომპანიის და პრემიერის მხრიდან, დასაყრდენ მეცნიერთა მხრიდან მედიაში გაკეთებული განცხადებები, რომელიც სამეცნიერო არგუმენტების ნაცვლად კოლეგების მიმართ მუქარის, შანტაჟის და ღირსების შემლახავი შინაარსის მატარებელია. მათ ციტირებას აქ შეგნებულად არ განვიხილავთ, რომ არ გამოგვივიდეს აკადემიური სფეროს ღირსების შემლახავი განცხადებების ტირაჟირება. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ფაქტს, რომ მეცნიერთა მოცემული ჯგუფის რიტორიკა და ფრაზეოლოგია ერთი-ერთში ჯდება კომპანიის რიტორიკასთან.

საინტერესო ხასიათი ჰქონდა სამოქალაქო აქტივიზმსაც. საყდრისის თემასთან დაკავშირებით არაერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. „2013 წლიდან აქციების უწყვეტი ციკლი დაიწყო. „მწვანე მუშტი“ ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საყდრისის დასაცავად საპროტესტო ტალღას დაუდო სათავე. ... ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი“. [17] მაგალითისთვის, 2014 წლის მარტში გაიმართა საპროტესტო აქცია სახელწოდებით „არტისტები საყდრისის გადასარჩენად“, სადაც წარმოდგენილი იყო შემდეგი შინაარსის ტრანზარანტები: „დაიცავი საყდრისი“, „საყდრისი-ყაჩაღიანი ხელისუფლების გამოცდაა“. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ „საზოგადოებაში უნდა ამაღლდეს მგრძობელობა იმის შესახებ, რომ საყდრისი მსოფლიოში უძველესი მალარია.“[12] სამოქალაქო საზოგადოება საყდრისის ძეგლთან დაკავშირებით სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებასაც შეეცადა და მათ ორი სარჩელი მოიგეს. მოგვიანებით პრესა ავრცელებდა, რომ საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტში განხეთქილება არსებობს, რომ ვილაცას პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებს. ეს ყოველივე, იმით დაგვირგვინდა, რომ აქტივისტებს შეუერთდა პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“, რაც აქტივიზმზე ნეგატიურად აისახა.

საყდრისთან დამოკიდებულებაში კომპანია „ლ ოლდ“-მა გამოავლინა დაბალი ბიზნეს კულტურა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში გვხვდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ჩამონათვალი, დეტალური აღწერილობით, თუმცა მათ შორის არ არის აღნიშნული საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალაროს არსებობა. სამაგიეროდ წერია: „შპს „ლ ოლდ“-ის საყდრისის კარიერის საქმიანობიდან წარმოქმნილი ხმაური განპირობებული იქნება აფეთქებითი და მსხვრევის სამუშაოებით. აფეთქებების დროს ყველა თანამშრომელი დადგენილი მკაცრი რეგლამენტის თანახმად იმყოფება შესაბამისი მანძილით დაშორებულ ადგილას, სადაც აფეთქებით გამოწვეული ხმაურის დონე არ აღემატება დადგენილ დონეს, რაც შეეხება მსხვრევით სამუშაოებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამედროვე ყბიანი და კონუსური სამსხვრევეების შექმნა, რომლებიც ნაკლები ხმაურით მუშაობენ.“[19]ამგვარი დამოკიდებულება

ტიპიური „გრინვოშინგის“ მაგალითია. კომპანია ერთის მხრივ, თითქოს იცავს გარემოსდაცვით და უსაფრთხოების სტანდარტებს და ამ დროს, არ აღიარებს რეალობაში არსებულ ყველაზე დიდი რისკს. საყდრისის პრეისტორიულ ოქროს მალაროს „საყდრისის კარიერს“ უწოდებს. ფაქტია, რომ ის საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა საზოგადოებას ვერ მოხვდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში და არ აისახა საჯარო განხილვის ოქმში. მაშასადამე, საზოგადოებას შეეხლუდა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კომპანია ამით არ შემოიფარგლა და შეეცადა საზოგადოებრივ აზრზე გავლენა მოეხდინა მედია საშუალებების გამოყენებით (დანართი.1), რაც გამოიხატებოდა სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციაში.

როდესაც არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებზე ვსაუბრობთ, ისინი არ უნდა წარმოვიდგინოთ, მხოლოდ როგორც ინერტული მატერიალური არტეფაქტები. კულტურული მემკვიდრეობა სოციალური იდენტობის ნაწილია და მასთან საზოგადოებას ფსიქოლოგიური, ემოციური კავშირი გააჩნია. კომპანიის მხრიდან კულტურულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების ფორმა, იგივე იმ საზოგადოებასთან დამოკიდებულების ფორმაა, ვისთვისაც ეს ძეგლები ღირებულია. თუ კომპანია პატივს არ სცემს კულტურულ მემკვიდრეობას, ეს ნიშნავს რომ იგი პატივს არ სცემს საზოგადოებას. ღირსეული კომპანია, რომელიც საკუთარი კომპანიის იმიჯს უფრთხილდება, აუცილებლად აღიარებდა სალიცენზიო ტერიტორიაზე მოქცეული ძეგლის არსებობას და სამოქალაქო საზოგადოებას ბინძური პიარ-კამპანიით კი არ შეებრძოლებოდა, არამედ უზრუნველყოფდა მათ ჩართულობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა scoping-ის პროცესში, რომელიც რისკების იდენტიფიცირებას გულისხმობს და გზმ-ს და სგზ-ს საჯარო განხილვის პროცესში.

ჭიათურის მანგანუმი

ჭიათურის მანგანუმის საბადო იმერეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ყვირილას ხეობაში მდებარეობს. მისი დამუშავება XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. 1930-იანი წლებიდან კი ამუშავდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. საბჭოთა კავშირის დროს საწარმო ორიენტირებული იყო რესურსების მაქსიმალურ მოხმარებაზე და „ინდუსტრიალიზაციის“ მაჩვენებლის ზრდაზე. მაგალითად, 80-იან წლებში წარმოების გაზრდასთან დაკავშირებით საწარმოსთვის ადგილობრივი ნედლეული არ აღმოჩნდა საკმარისი და საჭირო გახდა მანგანუმის იმპორტი ავსტრალიიდან და აფრიკიდან. ფეროშენადნობთა ქარხანამ წარმოებული პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა (500 ათასი ტონა წელიწადში) აჩვენა 1985-1989 წლებში. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ წარმოება შემცირდა 10 ათას ტონამდე წელიწადში. 2004 წელს ახალი ინვესტორის შემოსვლასთან დაკავშირებით წარმოება კვლავ გაიზარდა 120 ათას ტონამდე წელიწადში.

„ჭიათურის მანგანუმის საბადოს ერთ-ერთი პოტენციური ინვესტორი, აპირებს, ჭიათურის საბადოზე საგრძნობლად გაზარდოს მანგანუმიანი კონცენტრატების წარმოება ... საბადოს ასეთი არასწორი ექსპლუატაცია სოციალურად და ეკონომიკურად სრულიად გაუმართლებელია. ერთის მხრივ, ეს გამოიწვევს საბადოს მწყობრიდან გამოსვლას დაახლოებით 15 წელიწადში, მაშინ როდესაც მისი ნორმალური ექსპლუატაციის შემთხვევაში საბადოს მოქმედების ხანგრძლივობა იქნება დაახლოებით 50 წელზე მეტი.“ [14]

მაშასადამე, რესურსების მაქსიმალური მოხმარების ტენდენცია შენარჩუნდა პოსტ-საბჭოთა საქართველოშიც. მანგანუმის საბადოდან, მაქსიმალური სარგებელის მიღების პარალელურად საწარმო გვევლინება ეკოლოგიური კატასტროფის წყაროდაც. მაგალითისთვის ავიღოთ სოფ. რგანი. თორნიკე ხურციძე სტატიის „ჭიათურაში მარგანეცის მოპოვებას სოფელი ეწირება“, გვიყვება სოფ. რგანში საწარმოს მხრიდან მადნის ღია კარიერული წესით მოპოვებასთან დაკავშირებით შექმნილ სოციალურ და ეკოლოგიურ ფონზე. სტატიის მოცემულია ინტერვიუები ადგილობრივ მოსახლეობასთან. გთავაზობთ ამონარიდს:

„მიწას სოფლის ტერიტორიაზე საძოვრებზე ყრიან, იქ ბალახი, დაახლოებით, 2 წელიწადში ისევ ამოვა ... ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი მიმდინარე სამუშაოებზეა დასაქმებული და სამსახურის დატოვების შიშით, ურჩევნიათ ჩუმად იყვნენ ... მთაზე არის ორი ტბა. მის ქვეშ ხელუხლებელი მარგანცია. ტბას დაამრობენ და ტყის ძალიან დიდ მასას გაჩეხვენ ... მაინტერესებს, კანონით რამდენ მეტრზე უნდა იყოს დაშორებული ეს ყველაფერი მოსახლეობისგან. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მთის ნაწილი ჩამოინგრეს და ჩემი სახლიც ჩაიყოლოს ... როგორ უნდა ვიცხოვროთ, თუკი ტყე გაიჩეხა. მძიმეწონიანი მანქანების გამო, სახლში კედლები დამეზარა. სამუშაოებზე მთელი სოფელია დასაქმებული, ამიტომ ხმის ამოღებას ყველა ერიდება. აშინებენ და ემუქრებიან, რომ თუკი ვინმე რამეს იტყვის, სამსახურს დაატოვებინებენ.“[15]

მოცემული სტატია თარიღდება 2011 წლით. უფრო ადრე, 2008 წელში ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ნათქვამია: „... გამამდიდრებელი ფაბრიკების ექსპლუატაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ტარდებოდა ტექნიკური გადაიარაღების სამუშაოები, მაგრამ მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები დიდი ხნის განმავლობაში არ ჩატარებულა და დაგროვდა მრავალი ეკოლოგიური პრობლემა. ამ პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობა შეიქმნა მხოლოდ ახალი ინვესტორის (შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანეზი“) შემოსვლის შემდეგ.“ გზშ-ში ასევე ვკითხულობთ:

„როგორც აუდიტის პროცესში დადგინდა კომბინატს არ გააჩნია პროფესიული უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმა (კომბინატის მალაროებზე გააჩნიათ ევაკუაციის სქემები).“

„ლონისძიებებს. სამსახურის ინფორმაციით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აღრიცხული უბედური შემთხვევების დინამიკა შემდეგია:

- 2006 წელში აღირიცხა 19 შემთხვევა, მათ შორის ლეტალური შედეგით 3 შემთხვევა;
- 2007 წელში აღირიცხა 13 შემთხვევა, მათ შორის ლეტალური შედეგით 4 შემთხვევა;
- 2008 წლის 9 თვეში აღირიცხა 8 შემთხვევა, მათ შორის ლეტალური შედეგით 2 შემთხვევა.“

„სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევების მიხედვით ყველა აღრიცხული შემთხვევა დაკავშირებული იყო შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევასთან.“[20]

2009 წლის 16 იანვარით დათარიღებულ, საჯარო განხილვის ოქმში კი „ჯორჯიან მანგანზის“ გენერალური დირექტორი, ალექსანდრე ზილბერმანი სიტყვით გამოსვლისას ეკოლოგიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით გარკვეულ შეღავათებს ითხოვს, რის დასაბუთებასაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით ცდილობს. „ეკონომიკური კრიზისის ფონზე მთავარია შევინარჩუნოთ სამუშაო ადგილები და ვიზრუნოთ ჩვენთან დასაქმებული პერსონალის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის.“ - აცხადებს საწარმოს გენერალური დირექტორი.

მოცემულ გარემოზე შემოქმედების შეფასების დოკუმენტშიც დამკვიდრებული პრაქტიკის სტილში საზოგადოებრივ გარემოზე საწარმოს მხრიდან შემოქმედება შეფასებულია დადებითად, რაშიც იგულისხმება მოსახლეობის დასაქმება. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ქვეყანაში მოქმედ მადნის მომპოვებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს უნდა დაუწესდეთ შეღავათები და ეპატიოთ ტერიტორიის ეკოლოგიური კატასტროფის ზონად ქცევა და ადგილობრივი მოსახლეობის და დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის მავნე, გაუსაძლის პირობებში ცხოვრება და საქმიანობა, იმ მოტივით, რომ ისინი გვევლინებიან მთავარ დამსაქმებლებად?! ასეთ ფონზე საინტერესოა, რატომ დაემუქრა მოცემული საწარმოს 3700 დასაქმებულს უმუშევრობა?

მიუხედავად გზმ-ში იდენტიფიცირებული, რისკებისა კომპანიამ მოიპოვა საქმიანობის განხორციელებისათვის ნებართვა. მომდევნო პერიოდში ცხადია წარმოების საქმიანობაში გამოიკვეთა სხვადასხვა სახის გარემოსადმი მიყენებული ზიანი, რაზეც ნებართვის გამცემი ორგანიზაცია სოლიდური მოცულობის ჯარიმებით რეაგირებდა. (ცხრ.1.)

მაგალითისთვის ავიღოთ ზიანი 1 (ცხრ.1.). 158 832 ლარი ჯარიმა დაეკისრა კომპანია „ჯორჯიან მარგანესს“ ჭიათურის რაიონ სოფ. რგანში „სამთო მინაკუთვანში წარმოებული საქმიანობის შესაბამისად გარემოზე მიყენებული ზიანის“ გამო. ზიანი გამოიხატებოდა შემდეგში. „დამუშავებულ ტერიტორიაზე მოთხრილი ხე-ტყე მთლიანად ჩამარხული იყო მიწის ნაყარში“.

#	გარემოსთვის მიყენებული ზიანის გაანგარიშება/ დოკუმენტის ნომერი	თარიღი	ზიანის ოდენობა (ლარი)
1	411	05.11.2014	30 659 550
2	211	22.06.2015	53 379, 09
3	DES 31500050255	02.09.2015	60 318 587, 34
4	05-19 / 57	11.09.2013	2 079 582,34
5	05-19 / 116	15.09.2014	324 328 434, 23
6	სოფ.რგანი		158 832,0

ცხრილი 1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხრიდან შპს „ჯორჯიან მანგანეცისთვის დაკისრებული ჯარიმების მოცულობა (ლარებში).

№2 (ცხრ.1.) ჯარიმა კომპანიას დაეკისრა ჩამდინარე წყლების ჩაშვების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო. არადა გზმ-ს ტექსტში აღნიშნულია, რომ მსგავსი ტიპის ზიანი გარემოს არ მიადგებოდა.

გვაქვს ასეთი სიტუაცია, რომ ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი ნორმების დარღვევის გამო კომპანია ჯარიმდება დიდი მოცულობის ფულადი ჯარიმით. აქ აღსანიშნავია ის, რომ სამინისტროს მხრიდან ნებართვის გაცემისათვის საჭირო პროცედურების დროს (გზმ-ს ტექსტშიც და საჯარო განხილვის ოქმშიც) ნათლად იკვეთება, ის ფაქტი, რომ მსგავსი დარღვევების რისკი არსებობდა. ამას მოსდევს საჯარო განხილვის დროს კომპანიის გენერელური დირექტორის სიტყვიერი თხოვნა გარემოსდაცვითი შეღავათების შესახებ. შემდგომ კი სამინისტრო გასცემს ნებართვას. დგება მომენტი, როდესაც საქმიანობის ეტაპზე საწარმოო გარემოს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს და ამაზე ნებართვის გამცემი ორგანო დიდ მოცულობის ჯარიმებით რეაგირებს. ვინ სარგებლობს ან ზარალდება ამით? ამით ზარალდება გარემო და საზოგადოება.

ამ ყველაფრის შემდეგ ვხედავთ, რომ კომპანიის 3700 დასაქმებული დადგა სამუშაოს დაკარგვის საფრთხის წინაშე.[21] 2016 წლის 20 იანვრიდან 20 მაისამდე საწარმოო

გაჩერებული იყო. გამოდის რომ საწარმომ ველარ შეასრულა ის ერთადერთი სოციალური ფუნქცია, რომლითაც თავს იკვეხნიდა - მოსახლეობის დასაქმება. ისმის კითხვა - რამდენად სწორია ჯარიმების მონეტარული ფორმა? უფრო ეფექტური ხომ არ იქნებოდა ცხრილში მოცემული სოლიდური თანხების გადამისამართება კომპანიის მხრიდან დასაქმებულთა სოციალური კეთილდღეობის, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლების და საწარმოს ტექნოლოგიური განახლებისკენ?

* * *

ქსანი-სტეფანწმინდის ელექტროგადამცემი ხაზი

პროექტი „500 კვ. ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლოატაცია“ გულისხმობს ახალი, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია „საქართველოს სახელმწიფო ენერჯისისტემა“ („სსე“), „რომელიც არის 100% სახელმწიფო კომპანია“ [2], პროექტის მართვა კი ევალება კომპანია „ენერჯოტრანსს“, რომელიც „სსე“-ის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს.

აღნიშნულმა პროექტმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია 2016 წლის აპრილში, როდესაც სოფ. ცდოში გადამცემი ხაზების ბოძები დამონტაჟდა. ადგილობრივი მოსახლეობის შეშფოთების მიზეზი გახდა გადამცემი ხაზების სოფელზე გატარება, რაც მათი ჯანმრთელობისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ სოფ. ცდო მდებარეობს დარიალის ხეობაში და იგი არ ხვდება ქსანი-სტეფანწმინდის გადამცემი ხაზის მარშრუტში. (დანართი 2.) რა კავშირი აქვს სოფ. ცდოს ინციდენტს მდ. სნოს ხეობაში გამავალ მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზთან? მეორე კითხვა რაც საზოგადოებაში მთავარ რისკად აღქმება გახლავთ აქვს თუ არა მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს უარყოითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე? დავიწყოთ ამ უკანასკნელით.

ჯანმრთელობის თემა განხილულია პროექტი „500

კვ ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლოატაციის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში, სადაც იმის დასამტკიცებლად, რომ გადამცემ ხაზებს არ ექნება უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე მოშველილებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევა: „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ელექტრომაგნიტური ველის კვლევების თავისი უახლესი მიმოხილვა 2007 წლის ივნისში და ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ელექტრომაგნიტური ველი არ იწვევს რაიმე გრძელვადიან ჯანმრთელობისთვის საზიანო ეფექტს (WEE, 2007). [2] მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის, რომ სოფელში ჩადგმული ანძა და სოფელზე გატარებული მაღალი ძაბვის მქონე ელექტროგადამცემი ხაზი წარმოადგენს დასახლებულ პუნქტში მაღალი ძაბვის მქონე ენერგო ობიექტის ან უელექტრომაგნიტური ველის მუდმივი წყაროს გაჩენას. ამ შემთხვევაში მისი უარყოფითი ზემოქმედება ჯანმრთელობაზე არამხოლოდ გრძელვადიანი, არამედ სამუდამოა. რეალურად, რომც არ იწვევდეს მაღალი ძაბვა სასიკვდილოდ აავადებს, ადგილობრივ მოსახლეობას აქვს განცდა, რომ გადამცემი ხაზები მათი ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია, ეს ნიშნავს საზოგადოებაზე უარყოფით, ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და ამ ფაქტორის აღმოფხვრა ან შერბილება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული გზმ-ში. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეკითხვა დაისვა სტეფანწმინდის რაიონის მუნიციპალიტეტში გამართული საჯარო განხილვის დროს.

კითხვა: „თუ იცნობთ რუსეთში და ინგლისში ჩატარებულ კვლევებს, რომლის თანახმადაც ელექტროგადამცემი ხაზებიდან 200 მეტრის ფარგლებში ლეიკემიით დაავადებულთა რიცხვი მოსახლეობის 80%-ია?“

პასუხი: „ბოლო 30 წლის განმავლობაში, ყოველმხრივი კვლევები ჩატარდა აშშ-სა და მსოფლიოში, რათა განსაზღვრულიყო, თუ რა შემთხვევაში გააჩნია ელექტრომაგნიტურ ველებს ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. უამრავი სამეცნიერო ორგანიზაცია თანხმდება, რომ მიხეზ-შედეგობრივი კავშირი რაიმე წყაროს ელექტრომაგნიტურ ველსა და ჯანმრთელობის გაუარესებას შორის არ გამოვლენილა ველის იმ ტიპიური დონეებისთვის, რომელიც გვხვდება საცხოვრებელ გარემოში, ელექტროგადამცემი ხაზების

სანიტარული ზონის გარეთ.“[2]

სოფ. ცდო და ქსანი-სტეფანწმინდის გადამცემი ხაზი ერთი დიდი პროექტის შემადგენელი ნაწილებია. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ტექსტში ნათქვამია: „სსე“ აპირებს 500 კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ გადამცემი ხაზის მშენებლობას, რომლის საშუალებით მოხდება ელექტროენერჯის გამოტანა მშენებარე დარიალის და ლარსის და აგრეთვე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მომავალში ასაშენებელი სხვა ჰიდროელექტროსადგურებიდან და მათი მიერთება ნაციონალურ ქსელთან.“ ჩამოვლილი ობიექტები ნაწილია იმ ერთიანი ენერგეტიკული ქსელისა, რომლის განვითარებაც ენერგეტიკის სამინისტრომ წამოიწყო და რომლის შესახებ ინფორმაცია მკაფიოდ და თვალსჩინოდაა წარმოჩენილი პუბლიკაციაში „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2015-2025“. ბროშურაში მოცემულია რუკები, სადაც ნაჩვენებია მაგალითად, 2025 და 2050 წლის გადამცემი ქსელების მდგომარეობა. სქემატური რუკები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ენერგოსისტემა ერთიან ენერგეტიკულ ქსელშია ჩართული რუსეთთან, თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

„ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის სოციალური ზემოქმედება განხილულ უნდა იქნას რეგიონში და მთელს ქვეყანაში ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მისი ელექტროენერჯის ექსპორტისა და სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის, ასევე შიდაქსელის საიმედოობის უფრო ფართო კონტექსტში.“[2]

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა გათვლილია არა შიდა მოხმარებისთვის, არამედ მათ უნდა მიუერთდეს მომავალში დაგეგმილი დიდი ჰესები და წინდაწინვე მზადდება გადამცემი ხაზები დიდი ჰესებით გამოიმუშავებული ენერჯის ექსპორტისთვის. პროექტის ავტორები გამოდიან საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეორგაფიული მდებარეობიდან და აცხადებენ, რომ „აუცილებელია ენერგოგადამცემი ხაზების საიმედო ქსელის მშენებლობა ქვეყნის სტაბილური ენერგო მომარაგებისათვის, ექსპორტისათვის და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ძირითადი ჰიდროელექტრო სადგურების ჩართულობას ალტერნატივა არ აქვს.“[2] მათ ასევე

მიაჩნიათ, რომ „ახალი 500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ ელექტროგადამცემი ხაზი ... გააძლიერებს საქართველოს ჩრდილო-სამხრეთის მიმართულეებით ენერგოტრანზიტის დერეფნის როლს.“ [2]

საქართველოს სტრატეგიული სატრანზიტო მდებარეობის შესახებ ბევრი გვსმენია, მაგრამ აბრეშუმის გზიდან მოყოლებული მას აღმოსავლეთ-დასავლური მიმართულება ჰქონდა და ჩრდილო სამხრეთულიც. ამ თემაზე ქართულ საზოგადოებაში ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებები არსებობს და ამიტომ ფართე საჯარო დისკუსიის, საზოგადოების აქტიური ჩართულობის გარეშე, მიჩუმათებულად ასეთი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. ისმის დიდი კითხვის ნიშანი, თანამედროვე გეოპოლიტიკური ფონის გათვალისწინებით სჭირდება თუ არა საქართველოს ასეთი ტიპის ერთიან ქსელში ჩაბმა? გვჭირდება თუ არა იმ ქვეყნის ინტერესებში შემაჯავალი ენერგობიექტები ავაშენოთ, ვისაც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი აქვს ოკუპირებული?

თუ გადავინაცვლებთ უახლოეს ისტორიაში აღმოვაჩენთ, რომ ზემოთ ნახსენები ერთიანი ენერგეტიკული ქსელი 1920-იან წლებში ლენინ-კრჟიჟანოვსკის იდეოლოგიით შემუშავებული ენერგოპორექტია, რომელსაც ეწოდებოდა „რუსეთის ელექტრიფიკაციის ერთიანი გეგმა“ (ე.წ. „გოელრო“) (დანართი 3), რომლის პერიფერიული ნაწილი იყო საქართველოც სამხრეთ კავკასიასთან ერთად. ცხადია, ამ სისტემის ცენტრი მოსკოვი იყო. აღნიშნული პროექტი თავიდანვე ატარებდა იდეოლოგიურ დატვირთვას და განსხვავებული დაპყრობილი ქვეყნების ერთ მთლიანობად შეკვრის იდეაც ედო საფუძვლად. ამ იდეოლოგიის ნაწილი იყო გარემოსადმი მომხმარებლური დამოკიდებულება და ამიტომ „გოელროც“, როგორც პირველი ლენინური იდეოლოგიისა გარემოს დამანგრეველ შინაარსს მოიცავს. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2015-2025“ კალკირებაა ლენინის ენერგეტიკული სისტემისა და უფრო უარესიც, თანამედროვე გეოპოლიტიკური ფონიდან გამომდინარე, ასევე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გადასახედიდან გამომდინარე ამგავრი ეკონომიკური პროექტები ქვეყნისთვის დიდ საფრთხეს შეიცავენ. მათ შორის ბევრ ისეთ საფრთხეს, რაც სცდება ენერგეტიკის

სამინისტროს კომპეტენციას. მსგავსი პროექტები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ საქართველოს მთლიანი ენერგო-პოლიტიკის გადახედვის და ხელახლა გადააზრების საჭიროებას და აუფრო მდგრადი და უსაფრთხო პროექტების შემუშავების აუცილებლობას.



ისევ, რომ დავუბრუნდეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ტექსტს, ქსანი-სტეფანწმინდის გადმცემი ხაზის ერთ-ერთი მონაკვეთი ძალიან ახლოს (დაახლ. 2კმ-ში) გაივლის ოკუპირებული ტერიტორიის საზღვართან. თანაც დაუსახლებელ, დაბალი უღელტეხილების მქონე ფერდობზე. პროექტის უსაფრთხოებიდან გამომდინარე კარგი იქნებოდა, რომ ამგვარი რისკის იდენტიფიცირებაც მომხდარიყო, მაგრამ გზმ-ში ასეთი რამ არ გვხვდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაზ. ვერსია, 19-20/08/2013
2. 500 კვ ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლოატაცია, 2015
3. გაზ. ახალითაობა, 24/04/2014
4. გაზ. პრაიმტაიმი, 12/01/2014
5. გაზ. რეზონანსი, 14/03/2014
6. გაზ. რეზონანსი, 18/10/2013
7. გაზ.ახალითაობა, 29/04/2014
8. გაზ.ვერსია, 17-18/11/2014
9. გაზ.პრაიმტაიმი, 17/02/2014
10. გაზ.რეზონანსი, 10/12/2013
11. გაზ.რეზონანსი, 19/02/2014
12. გაზ.რეზონანსი, 21/03/2014
13. გაზ.რეზონანსი, 30/09/2013
14. თ. ჩუბინაძე, წერილი. გაზ.რეზონანსი. 18/01/2005
15. თ. ხურციძე, გაზ. ვერსია. 14-16/10/2011
16. მადნეული კანონზე მალა, 2013, „მწვანე ალტერნატივა“
17. ჟურნ. ანაბეჭდი, 25/12/2014
18. საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოების მოკლე ანგარიში, 2014
19. საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უზნის ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2014
20. ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2008
21. <http://www.industrial-union.org/3700-mine-workers-under-threat-in-georgia>
22. Guidance on Heritage Impact Assessments for Cultural World Heritage Propertie, 2011. ICOMOS
23. Gold in Georgia II : The Oldest Gold Mine in the World. Thomas Stöllner & Irina Gambashidze, 2011
24. Social Impact Assesment: Guidance for assessing and managing the social impacts of projects. Frank Vanclay and al. University of Groningen, 2015
25. matsne.gov.ge [22]
26. museum.ge [23]


დანართი 1.

ინფორმაციის პროდუცირება საყდრისი-ყაჩალიანის შემთხვევის შესახებ. მონაცემები გამოთვლილია 2013-2014 წლებში პრესაში დაბეჭდილი სტატიების რაოდენობის მიხედვით. შერჩევაში მოხვდა ის ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც აღნიშნულ თემაზე გამოყენებული ჰქონდათ სამზე მეტი სტატია.




დანართი 2.

რუკაზე ყველა თელი საზით ნაჩვენებია ქსანი-სტეფანწმინდის ელექტროგადამცემი საზი. წითელი ეკლიანი საზით კი ოკუპირებული ტერიტორია. რუკაზე ნათლად იკვეთება, თუ რამდენად ახლოს გაივლის ელექტროგადამცემი საზი კონფლიქტის ზონასთან.



დანართი 3.

რუსეთის ელექტრიფიკაციის ერთიანი გეგმა. ე.წ. „გოელრო“. წყარო: საბჭოთა ენციკლოპედია. რუკაზე, წითელი წრეები ჰიდროენერგეტიკის აღმნიშვნელი ნიშნებია. საქართველოს რუკაზე გამოსახულია ამჟამად მშენებარე (იმ დროს დაგეგმილი) დარიალის და ლარსის ჰეს-ები.



საყდრისი-ყაჩალიანი.



პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად.

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა პროექტის “სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები საქართველოს მაგალითზე”. პროექტი ხორციელდება საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ავტორი: თამარ ხარძიანი

სარედაქციო კოლეგია:

ქეთევან პაპაშვილი

ანა კეკელიძე

ლელა ყაჭვიშვილი

ნინო შუმტაკაშვილი

საქართველო. თბილისი. სლავა მეტრეველის №4, 0112

ტელ: (+995 32) 2 30 62 21

ელ.ფოსტა: info@greens.ge

ვებ-გვერდი: www.greens.ge



Friends of
the Earth
Georgia

**FRIEDRICH
EBERT** 
STIFTUNG

ANALYSIS OF SAKDRISI, CHIATURA MANGANESE AND KSANI-STEPANTSMINDA TRANSMISSION LINE CASES

TBILISI, 2016

“Every citizen of Georgia shall be obliged to protect and preserve their cultural heritage. The State shall protect cultural heritage by law”.
Constitution of Georgia, Article 34, Item 2.

Chronological order of the events developed around Sakdrisi-Kachagianimonument

In April 2013 on the basis of the application of “RMG Gold”, at the initiative of the Georgian Government and by the Order of the Ministry of Culture and Monuments Protection, a Commission comprising of 11 members was set up. The assignment to the Commission was to study the issue of possibility Sakdrisi-Kachagiani being the oldest gold mine. After 35 days work the Commission came out with a statement that Sakdrisi-Kachagiani had been awarded the status of a protected historical site by the infringement of the law. On July 5, 2013 the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia issued an Order N 03/108 by which Sakdrisi was stripped of this status.

In August 2013 a representative of the Company states that this status had been given to the mine based on a myth; that along with the Company, under the circumstances, the state interests were also damaged; that they addressed the Prime Minister to move the monument to another place. [1]

Sakdrisi-Kachagiani topic was discussed at the meeting in the Business Center arranged by the Prime Minister Ivanishvili where it was decided that “the study of gold mine issue, its status and so on, should be assigned to the Academy of Sciences of Georgia...” [13]. A special Commission was set up at the Academy which had to define if Sakdrisi-Kachagiani mine was the world’s oldest mine. Some of the representatives of the Commission stated that “they were assigned hard mission” and they were given “short time” to carry out this mission. “It is absurd to move the monument, how is it possible to take the mountain and move to another place?!... God grant it really turns out a gold mine” – says Constantine Pitskhelauri, an archeologist. [6]. In December, after 2 months of the Prime Minister’s assignment the Academy of Sciences stated that the monument was 5000 years old and it had big historical significance, that they were against the destruction of Sakdrisi-Kachagiani gold mine. [10]

